**საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის**

**ეთიკის კომისიის**

**გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა**

**დისციპლინური დევნის აღძვრაზე უარის თქმის თაობაზე**

**მეორე დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობა:**

მარიკა არევაძე – კოლეგიის თავმჯდომარე

მარინე ცუცქირიძე – კოლეგიის წევრი

ინგა ნებიერიძე– კოლეგიის წევრი

**საჩივრის ავტორი**: ნ. გ.

**საჩივრის კომისიაში შემოსვლის თარიღი:** 17.08.2022

**საჩივრის რეგისტრაციის ნომერი:** 068/22

**საჩივარი შემოტანილია** – ადვოკატ თ. ქ.-ს /სიითიN/ მიმართ

**საჩივრის მოთხოვნა:** ადვოკატ თ. ქ.-სთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება

**I აღწერილობითი ნაწილი**

1. **საჩივრის ავტორის განმარტება:**

1.1 2022 წლის 17 აგვისტოს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა ადვოკატმა ნ. გ.-მ და მოითხოვა ადვოკატ თ. ქ.-სათვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება.

1.2 საჩივრის ავტორის განმარტებით, 2022 წლის 7 აგვისტოს ტელევიზია მთავარი არხის ,,პ. ფ.“ 9 საათიან გადაცემაში, განიხილეს ოთხი ქალის, მათ შორის 2 ადვოკატის უკანონო

ბრალდების გამომწვევი მიზეზები. დასახელებულ საქმეში ადვოკატ ნ. გ.-ს ჰქონდა ბრალდებულის სტატუსი. დაზარალებულ მხარეს წარმოადგენდა ადვოკატი თ. ქ.

1.3 საჩივრის ავტორის განმარტებით, ადვოკატმა თ. ქ.-მ ტელევიზის მეშვეობით მიაყენა შეურაცხყოფა და დასდო ბრალი, კერძოდ, ადვოკატმა თ. ქ.-მ განაცხადა, რომ ნ. გ.-მ მოსამართლე ლ. ჩ.-ის მიმართ ამტყდარი აჟიოტაჟი მის სასარგებლოდ გამოიყენა.

1.4 საჩივრის ავტორი უთითებს იმ გამონათქვამზე, რომელიც სატელევიზიო ინტერვიუს დროს ადვოკატმა თ. ქ.-მ გააჟღერა: ,,ბინძურად ნ. გ.-მ გამოიყენოს ვინმეს საქმე, მას ამის უფლება არავინ არ უნდა მისცეს". საჩივრის ავტორის განმარტებით აღნიშნული განცხადება შეეხებოდა ნ. გ.-ს საქმეს, რომელიც მას არ უხსენებია და მის საქმესთანაც არანაირი კავშირი არ ჰქონდა. საჩივრის ავტორმა საკუთარი პოზიციის დასადასტურებლად წარმოადგინა სამი ვიდეო ჩანაწერი.

1.5 საჩივრის ავტორის განმარტებით ერთ-ერთ საქმეზე, სადაც შესაგებელში დაწერა შემდეგი შინაარსის ფრაზა: ,,ვინც მათ მიმართ ეს დაწერა, რაც ამ უსათაურო წერილშია, მე ვფიქრობ რომ კარგი მიგნებაა ზუსტად შეეფერება მათ", ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიამ ეთიკის ნორმების დარღვევა დაუდგინა. შესაბამისად, ის მიიჩნევს, რომ ადვოკატი თ. ქ. სატელევიზიო გადაცემაში მის საქმეზე საუბრისას გასცდა გამოხატვის თავისუფლების ფარგლებს, რის გამოც უნდა დაეკისროს დისციპლინური პასუხისმგებლობა.

**2. ადვოკატის პოზიცია:**

2.1 ადვოკატმა თ. ქ.-მ ეთიკის კომისიაში წერილობითი ახსნა-განმარტება წარმოადგინა 2022 წლის 17 სექტემბერს, სადაც მიუთითა, რომ ადვოკატ ნ. გ.-ის საჩივარი არის დაუსაბუთებელი და არ უნდა დაკმაყოფილდეს.

2.2 ადვოკატმა თ. ქ.-მ განმარტა, რომ ადვოკატი ნ. გ. ეთიკის კომისიაში საჩივრების წარდგენით ცდილობს მასზე ზეწოლას და კოლეგის მიერ მის მიმართ უსაფუძვლოდ წარდგენილი საჩივრებით თ. ქ.-ის დისკრედიტაციას, დამცირებასა და პატივისა და ღირსების შელახვას.

2.3 ადვოკატის განმარტებით, საჩივრის ავტორი ცდილობს ფსიქოლოგიური ზეწოლა მოახდინოს მასზე და უთითებს, რომ მას ნ. გ.-ის მიმართ არც როგორც კოლეგის და არც როგორც მოქალაქის მიმართ არასდროს ამოძრავებდა პირადი ინტერესი.

## II სამოტივაციო ნაწილი

**3. ფორმალური წინაპირობების შემოწმება**

3.1 ადვოკატი თ. ქ. არის სსიპ „საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის" მოქმედი წევრი /სიითი №/, სპეციალიზაცია - საერთო, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება, ბავშვთა უფლებები.

3.2 ნ. გ.-მ ეთიკის კომისიას მომართა 2022 წლის 17 აგვისტოს.

3.3 სადავო ქმედება განხორციელებულია 2022 წელს. ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის 32.2 მუხლის შესაბამისად დაცულია ეთიკის კომისიისთვის მომართვის ვადა.

## 4. შემაჯამებელი დასკვნა

ეთიკის კომისიას მიაჩნია, რომ ადვოკატ თ. ქ.-ის მიმართ არ უნდა აღიძრას დისციპლინური დევნა, რადგან მოცემულ შემთხვევაში არ არსებობს „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლითა და „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულების 30-ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული დისციპლინური დევნის აღძვრის საფუძველი.

## 5. სამართლებრივი შეფასება:

5.1. საჩივრის ავტორის პრეტენზია გამოიხატა შემდეგში: ადვოკატმა თ. ქ.-მ ტელევიზია მთავარი არხის სატელევიზიო გადაცემაში ,,პ. ფ.“ ინტერვიუს დროს შეურაცხყოფა მიაყენა კოლეგას და მის მიმართ გამოიყენა შემდეგი შინაარსის ფრაზა: ,,ბინძურად ნ. გ.-მ გამოიყენოს ვინმეს საქმე, მას ამის უფლება არავინ უნდა მისცეს.“

5.2. საპროცესო კოლეგიამ იმსჯელა ადვოკატ თ. ქ.-ის მიერ შემდეგი მუხლების შესაძლო დარღვევის თაობაზე:

ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-7 მუხლი: ,,ადვოკატი ვალდებულია პატივი სცეს კოლეგებს, არ შელახოს მათი ღირსება და დაიცვას პროფესიული ღირებულებები.“

ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-10 მუხლის პირველი ნაწილი:,,ადვოკატი ვალდებულია პატივი სცეს თავის კოლეგას.“

5.3 ადვოკატი სარგებლობს საქართველოს კონსტიტუციით გარანტირებული გამოხატვის თავისუფლებით. „აზრისა და მისი გამოხატვის თავისუფლება დაცულია“ (საქართველოს კონსტიტუცია 17(1) მუხლი). აღნიშნული უფლება აბსოლუტური არ არის, რაც ნიშნავს, რომ იგი შესაძლოა რიგ შეზღუდვებს დაექვემდებაროს. „ამ უფლებათა შეზღუდვა დასაშვებია მხოლოდ კანონის შესაბამისად, დემოკრატიულ საზოგადოებაში აუცილებელი სახელმწიფო ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების ან ტერიტორიული მთლიანობის უზრუნველსაყოფად, სხვათა უფლებების დასაცავად, კონფიდენციალურად აღიარებული ინფორმაციის გამჟღავნების თავიდან ასაცილებლად ან სასამართლოს დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის უზრუნველსაყოფად“(საქართველოს კონსიტუტცია მუხლი 17(5)). სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვებს აგრეთვე, ითვალისწინებს „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონიც (მუხლი 9.1), რომელიც მოიცავს ჩანაწერებს სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შინაარსობრივ რეგულირებასთან დაკავშირებით.

5.4 ,,გაეროს ძირითადი პრინციპები ადვოკატთა როლის შესახებ“ 23-ე მუხლის თანახმად, ,,ადვოკატები, სხვა მოქალაქეების მსგავსად, სარგებლობენ აზრის გამოხატვის, რწმენის

გაერთიანებისა და შეკრების თავისუფლებით. მათ უფლება აქვთ მონაწილეობა მიიღონ საზოგადოებრივ დისკუსიებში, რომლებიც დაკავშირებულია იურიდიულ, მართლმსაჯულების განხორციელების, ადამიანის უფლებების ხელშეწყობისა და დაცვის საკითხებთან... . ამ უფლების რეალიზაციისას, ადვოკატებმა უნდა იმოქმედონ კანონის, იურიდიული პროფესიისა და ეთიკის აღიარებული ნორმების შესაბამისად."

5.5 ეთიკის კომისიამ 2010 წლის 29 ოქტომბრის გადაწყვეტილებით /დისციპლინური საქმე №076/10/ განმარტა: „გამოხატვის თავისუფლების ძირითადი სიკეთე მოსაზრებების დაცვის მაღალ სტანდარტში მდგომარეობს, მიუხედავად იმისა, ვის მიმართ არის გამოთქმული მოსაზრებები და რამდენად კრიტიკულია მათი შინაარსი."

5.6 „ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი, პროფესიული და ზნეობრივი პასუხისმგებლობიდან გამომდინარე, ადვოკატის საქმიანობისათვის ერთ-ერთ ძირითად განმსაზღვრელად მიიჩნევს კოლეგიალობის პრინციპს. აღნიშნული პრინციპი უპირობოდ გულისხმობს კოლეგების ღირსებისა და პროფესიული ღირებულებების დაცვას, რაც ადვოკატს ავალდებულებს კორექტული გამონათქვამებით შემოიფარგლოს პროფესიული საქმიანობის განხორციელებისას. ადვოკატი ვალდებულია პატივისცემა გამოხატოს კოლეგებისადმი, მიუხედავად მათი სამართლებრივად ან სხვაგვარად საწინააღმდეგო მოსაზრების არსებობისა. კოლეგიალობის პრინციპი ვერ ჩაითვლება მხოლოდ ფორმალურ ქცევათა შესრულების მოთხოვნად, იგი უდავოდ გულისხმობს ქცევის შინაარსობრივ მხარესაც, რაც აუცილებელია კოლეგებთან ურთიერთობის დროს" (თბილისის სააპელაციო სასამართლოს 15/04/2016 წლის გადაწყვეტილება, საქმე №1ბ/სპ-07-16).

5.7 ადვოკატის მიერ გამოხატვის თავისუფლების ფარგლებში მოქმედება თავისთავად მისი პროფესიული ვალდებულებაა, რაც მოიცავს კოლეგიალობის პრინციპის დაცვის ფარგლებში მოქმედებასაც. „ადვოკატმა კლიენტის ინტერესების წარმომადგენლობის განხორციელებისას უნდა დაიცვას კოლეგიალობის პრინციპი, რომლის მიზანია ადვოკატებს შორის ნდობის, თანამშრომლობის და პატივისცემის დამკვიდრება. ადვოკატმა არ უნდა დაუშვას კოლეგის მიმართ უხეში და შეურაცხმყოფელი მოქცევა და მის მიერ გამოთქმული მოსაზრებები, მათ შორის წერილობით შედგენილი დოკუმენტები უნდა იყოს გამოხატვის თავისუფლების ფარგლებში. ადვოკატმა პროფესიული ღირებულებებისა და კლიენტის ინტერესების სასარგებლოდ უნდა იმოქმედოს და ამავე დროს კოლეგებისადმი ღირსეული დამოკიდებულება და პატივისცემა შეინარჩუნოს, არა მხოლოდ პროფესიული საქმიანობის განხორციელების ეტაპზე, არამედ ზოგადად, პროფესიული თუ ყოფითი ურთიერთობისას. ადვოკატმა პატივი უნდა სცეს თავის საქმიანობას და ყოველდღიური საქმიანობით, უნდა იზრუნოს ადვოკატის პროფესიისადმი მაღალი ნდობის მოპოვებისათვის" (საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 05/02/19 წლის გადაწყვეტილება, დისციპლინური საქმე 047/18).

5.8 საჩივრის ავტორის განცხადებით, ადვოკატმა თ. ქ.-მ სატელევიზიო გადაცემაში მონაწილეობისას, საჯაროდ მიაყენა შეურაცხყოფა. კოლეგის სადავო ქცევის დასადასტურებლად ადვოკატმა ნ. გ.-მ ეთიკის კომისიაში წარმოადგინა სამი ვიდეო ჩანაწერი. საპროცესო კოლეგია გაეცნო წარმოდგენილ ჩანაწერებს და შეისწავლა ისინი. წარმოდგენილი ვიდეოები ასახავს 2022 წლის 7 აგვისტოს ტელევიზია მ. ა.-ის სატელევიზიო გადაცემაში ,,პ. ფ.“ გასულ სიუჟეტებს. პირველ ვიდეოში ადვოკატი თ. ქ. საუბრობს მხოლოდ ვიდეოს ბოლოს და ჩანაწერში ასახულია რამდენიმე წამიანი ინტერვიუ: 06:46 წუთიდან, 07:16 წუთამდე. ინტერვიუს შინაარსი შემდეგნაირია: ,,ეს პირები იქ ცხოვრობდნენ 60 წელი. ზოგი მართლა იქ დაიბადა, ზოგი სკოლაში წავიდა, ზოგი ჯარში წავიდა, აი ამ სახლებიდან, რომლებიც მათი აშენებულია. გარდა ამისა, გაზის ქვითრებს, წყლის გადასახადებს, მიწის გადასახადებს, მიწისა და სახლის დაზღვევებს, ყველა იხდიდა. ზოგს შერჩენილი აქვს ნაწილი საბუთების და დოკუმენტების, რომლებიც წარდგენილია - ქვითრების, ამონაწერის, სახლის წიგნაკების სახით და რომლებითაც ნამდვილად დასტურდება, რომ სამოცი წელია ეს ხალხი აქ ცხოვრობს და მათივე აშენებული არის“. აღნიშნული განცხადების შინაარსიდან ნათლად იკვეთება ადვოკატის შეფასებითი მსჯელობა და აზრის საჯაროდ გამოხატვა. განცხადების შინაარსი არ წარმოადგენს უხამს და ცილისმწამებლურ შინაარსს, რასაც შეიძლებოდა შეელახა კოლეგის პატივი და ღირსება. მეორე ვიდეოში ადვოკატი თ. ქ. საერთოდ არ საუბრობს და ჩაწერილია მხოლოდ ნ. გ.-ის, ქ. ჯ.-ის და სხვა პირთა ინტერვიუები. შესაბამისად, აღნიშნული ვიდეო ჩანაწერი ვერ იქნება კომისიის შეფასების საგანი.

5.9 მესამე ვიდეოში ადვოკატი თ. ქ. საუბრობს 00:03 წუთიდან, 00:34 წუთამდე. განცხადება შეიცავს შემდეგ შინაარს : ,,ეხლა იმის იმედი აქვს, რომ ვინაიდან ლ. ჩ. (მოსამართლე) იყო ნ. გ.-ს მოსამართლე და ეს რაღაც ოდიოზურ საქმედ შეიქმნა, მიუხედავად იმისა, რომ მე ნ. გ.-ს უდიდეს პატივს ვცემ როგორც პროფესიონალს, როგორც გენერალურ პროკურორს, როგორც ადამიანს, როგორც კოლეგას, ეს ჩემი გასარჩევი არ არის და არავისი, მაგრამ ბინძურად ნ. გ.-მ გამოიყენოს ვინმეს საქმე თავის სასარგებლოდ, ამის უფლება არავინ არ უნდა მისცეს“. ადვოკატ თ. ქ.-ის მიერ გაჟღერებული ფრაზა ,,ბინძურად ნ. გ.-მ გამოიყენოს ვინმეს საქმე თავის სასარგებლოდ, ამის უფლება არავინ არ უნდა მისცეს“ საპროცესო კოლეგიამ შეაფასა გადაცემის მთლიანი კონტექსტის გათვალისწინებით. კოლეგია უთითებს, რომ ადვოკატმა თ. ქ.-მ აღნიშნული ფრაზა გააჟღერა საკუთარი მოსაზრების და არა ფაქტის სახით. სადავო ფრაზის შინაარსიდან გამომდინარე ცალსახაა, რომ ადვოკატი თ. ქ. გამოთქვამს მოსაზრებას და გამოხატავს საკუთარ პოზიციას კონკრეტული საკითხის მიმართ და აღნიშნულ მოსაზრებას არ ავრცელებს დადგენილი ფაქტის კონტექსტში. შესაბამისად, მისი განცხადება მიზნად არ ისახავს კოლეგის რეპუტაციისა და ღირსების შელახვას, ისევე როგორც კოლეგის ცილისწამებას ან მისთვის გარკვეული ბრალდების საჯაროდ წაყენებას. საპროცესო კოლეგია განმარტავს, რომ მოცემულ შემთხვევაში აუცილებელია ფაქტისა და მოსაზრების (აზრის) გამიჯვნა, ვინაიდან ,,სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ'' კანონის მიხედვით, აზრი დაცულია აბსოლუტური

პრივილეგიით. კოლეგია იზიარებს უზენაესი სასამართლოს 2012 წლის 20 თებერვლის გადაწყვეტილებას საქმეზე №ას-1278-1298-2011, სადაც განმარტებულია, რომ შეფასებითი მსჯელობა არ შეიძლება მიჩნეულ იქნეს ცილისწამებად ან/და შეურაცხყოფის მიყენებად: „განსახილველ საქმეში უზენაესმა სასამართლომ მიიჩნია, რომ სადავო წერილში მითითებული გამონათქვამები მხოლოდ მისი ავტორის მოსაზრებების გავრცელებას ემსახურებოდა, რომელიც ასახავდა ამ უკანასკნელის სუბიექტურ დამოკიდებულებას მოსარჩელის პიროვნების მიმართ და არ შეიცავდა კონკრეტული ფაქტების მტკიცების პრეტენზიას. ანუ ეს იყო მხოლოდ მოპასუხის სუბიექტური აზრი (მსჯელობა, თვალსაზრისი) და არა ობიექტური გარემოებებიდან გამომდინარე ფაქტების დამტკიცების მცდელობა, ამიტომ იგი არ შეიძლებოდა მიჩნეულიყო ცილისწამებად.“ გამომდინარე აქედან, ადვოკატ თ. ქ.-ის მიერ გაჟღერებული გამონათქვამები უნდა შეფასდეს როგორც საზოგადოებრივი ინტერესის მქონე თემატიკაზე საჯარო დისკუსიის დროს ადვოკატის მიერ კლიენტის საუკეთესო ინტერესების დასაცავად საკუთარი შეხედულების მკვეთრი (უხეში) ფორმით გამოხატვა. იმის გათვალისწინებით რომ ადვოკატი თ. ქ. მოსაზრებას აჟღერებს არა კოლეგის პიროვნების, არამედ იმ საქმესთან დაკავშირებით, სადაც ის მოწინააღმდეგე მხარის ადვოკატს წარმოადგენს. ასეთი გამოხატვის მიმართ საჩივრის ავტორს თმენის მეტი ვალდებულება გააჩნია.

5.10 ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, ეთიკის კომისია მიიჩნევს, რომ ადვოკატ თ. ქ.-ის მიერ სატელევიზიო გადაცემის ,,პ. ფ.“ ეთერში გაჟღერებული ფრაზები სარგებლობენ სამართლებრივი დაცვით, რადგან აღნიშნული კომენტარები არ არის უხამსი, არ არღვევს საზოგადოებაში დამკვიდრებულ მორალურ ნორმებს, მიზნად არ ისახავს კოლეგის ღირსების შელახვას და სრულად ექცევა გამოხატვის თავისუფლების ფარგლებში. ადვოკატ თ. ქ.-ის მიერ გამოთქმული მოსაზრებების შინაარსიდან გამომდინარე ცალსახაა, რომ მოცემული ფორმით საკუთარი აზრის გამოხატვისას ადვოკატის მიზანს წარმოადგენდა საქმის მნიშვნელოვან გარემოებებზე საუბარი და საკუთარი მოსაზრებების გაჟღერება, რაც გამომდინარეობდა კლიენტის საუკეთესო ინტერესების დაცვის პრინციპიდან და მიზნად არ ისახავდა კოლეგის შეურაცხყოფას. შესაძლებელია ადვოკატის მიერ გამოყენებული ტერმინოლოგია საჩივრის ავტორის მიერ აღქმულიყო შეურაცხმყოფელად, თუმცა ეს აღქმადობა არ აკმაყოფილებს არც ობიექტურ და არც სუბიექტურ სტანდარტს. მაშასადამე, ეთიკის კომისიას მიაჩნია, რომ მსგავსი ფრაზების გამოყენება არ შეიძლება მოექცეს არაეთიკური ქცევის ფარგლებში და ჩაითვალოს კოლეგიალობის პრინციპის დარღვევად. ადვოკატ თ. ქ.-ის მიერ საკუთარი პოზიციის საჯაროდ, ღიად წარმოჩენა - აზრის გამოხატვა, სრულად ექცევა ძირითადი უფლებით დაცულ სფეროში და გამორიცხავს ეთიკური სტანდარტის დარღვევას.

5.11 საპროცესო კოლეგიამ იხელმძღვანელა „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულების 30–ე მუხლის მე–2 პუნქტით, 31–ე მუხლით და 40–ე მუხლის პირველი პუნქტით და გადაწყვიტა:

## III სარეზოლუციო ნაწილი

1. დისციპლინურ საქმეზე N068/22 ადვოკატ თ. ქ.-ის /სიითი N/ მიმართ  არ აღიძრას დისციპლინური დევნა.

2. გადაწყვეტილების ასლი გაეგზავნოს მხარეებს.

3. საპროცესო კოლეგიის გადაწყვეტილება არ საჩივრდება.

კოლეგიის თავმჯდომარე: /მარიკა არევაძე/

კოლეგიის წევრი: /მარინე ცუცქირიძე/

კოლეგიის წევრი: /ინგა ნებიერიძე/